



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №043/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - სოფიკო პეტრიაშვილი

ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, პროცესის მსვლელობის დროს სიტუაცია დაიძაბა, რადგან ადვოკატი გ. მ. იმ კოლეგებს, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი მის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას, არ აცდიდა საუბარს და სთხოვდა მათ ახსნა-განმარტების გაკეთებას. ასეთი ქცევის გამო ადვოკატმა გ. მ.-მ მიიღო შენიშვნები, როგორც ბრალდების, ასევე სასამართლოს მხრიდან. მოცემული ინციდენტის შემდეგ, საჩივრის ავტორი იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მთავარ შენობაში, რა დროსაც მასთან მივიდა ადვოკატი გ. მ. და ხმამაღალი ტონით, ყვირილით იქ მყოფი საზოგადოების თვალწინ მას რამდენიმეჯერ უწოდა „ოროსანი ადვოკატი“ და ითხოვდა საჩივრის ავტორისაგან აეხსნა, თუ რატომ არ დაუჭირა მხარი მის შუამდგომლობას თვითაცილების შესახებ. ამის შემდეგ ხელი ააფარა კარს და არ მისცა საჩივრის ავტორს სასამართლოდან გასვლის საშუალება, ეს გაგრძელდა რამდენიმე წამის განმავლობაში და საჩივრის ავტორი იყო იმდენად შეურაცხყოფილი, რომ ვერ დააფიქსირა იმ მანდატურის ვინაობა, რომელიც შეესწრო ინციდენტს. საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სათვალთვალ კამერებიდან ვიდეო ჩანაწერის ამოღების შესახებ, რაზეც სასამართლოს ადმინისტრაციის შეცდომის გამო გვიან მიიღო მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე პასუხი და იმის გამო, რომ სათვალთვალ ვიდეო კამერების ჩანაწერები 2 კვირის განმავლობაში ინახება, შემდეგ კი იშლება, საჩივრის ავტორმა ვერ მიიღო გამოთხოვილი ინფორმაცია.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რომლებიც ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებასა და პატივისცემას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კოლეგიალურობის პრინციპი პროფესიის კორპორატიული არსიდან გამომდინარე. ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შენარჩუნებას და პატივისცემას, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, როგორც ადვოკატებს შორის ურთიერთობისას, ასევე კლიენტებთან და სხვა მესამე პირებთან პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობებისას. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე: აპეკ-ის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“, აპეკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“. საპროცესო კოლეგიისათვის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტების გარდა არ წარმოუდგენია სხვა სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატ

¹ <https://gba.ge/pdf/5cb5ed85510b5.pdf/043-18%20%20%202029.06.2018%20%20%20ar%20agdzvra.pdf>

გ. მ.-ის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად ადვოკატ გ. მ.-ის მიერ აპეკ-ის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ არ არძღა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.